ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7963665

ნომერი: AR11144621

თარიღი : 25.05.2026

გაცემის თარიღი : 16.06.2026

გაცნობის თარიღი : 19.06.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამღებრო , N 9/11 , ქუჩა საადი N2, (ნაკვეთი N64/41) ; ქალაქი თბილისი , სამღებროს ქ. N9/11, საადისქ. N2 , ნაკვ. N64/41-ის მიმდ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ჩხაიძე პ/ნ 35001121433
- საქართველო, ქალაქი რუსთავი, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა, N 10, ბინა 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. საჭიროა წარმოდგენილი ქვეიჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და განახლებული ამონაწერის წარმოდგენა. ამასთან, წარმოდგენილ იქნეს ქვემეიჯარისა და მესაკუთრის თანხმობები რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით. აგრეთვე, საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება შპს სოთოს ქვეიჯარა, იმავე ფართზე, რომელიც ამჟამად გადაცემული აქვს შპს ხაშერია 2. თუ ის აღარ წარმოადგენს ქვემოიჯარეს საჭიროა განახლებულ ამონაწერში აღარ ფიქსირდებოდეს მოსარგებლედ ან წარმოდგენილ იქნეს მისი თანხმობაც. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.